



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N1

ქ. მარნეული

08.01.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, ჯომგუნ ზეინალოვი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, მამედ მამედოვი, ელხან მუფთიევი, ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი, ლევონ აკოპიანი, მახირ იუსუბოვი, რაფიკ ჯაფაროვი, სულეიმან ხალილოვი.

არ ესწრებოდა: - რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, გივი ქველაძე, ზურაბ სხირტლაძე.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები, გაზეთ „ოზანის“ რედაქტორი ქამილ მუსაევი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„დამოუკიდებელი დეპუტატები“-ს შესახებ
2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ შერჩეული პროექტების განხილვის შესახებ
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთების მიერ გახარჯული ელენერგის დავალიანების დაფარვის შესახებ

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რამიზ გიულმამედოვის განცხადების (რეგ. N1814/05. 25.12.2015წ) გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს გაუკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015 წლის 25 დეკემბერს დარეგისტრირდა ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატები“ და ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია რამიზ გიულმამედოვი, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად (მირებულია განკარგულება N03. 08.01.2016წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა ლერი ფანგანმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც იგეგმება 2016 წელს და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. წარმოდგენილი პროექტების ჩამონათვალი მოიწონეს საკრებულოს წევრებმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N01. 08.01.2016 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 იანვრის N03/63 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 132¹-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ,ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 101-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 61-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ №319-ე დადგენილების საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს მარნეულის

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების 2016 წლის წლიური სასწავლო გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N02. 08.01.2016 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ საკრებულოს წევრი კოტე ბოჭოიძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის უფროსმა ნინო დეკანოიძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 8 იანვრის N03/72 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის და 156-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამტატო ნუსხა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N05. 08.01.2016 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით რომ საკრებულოს წევრი კოტე ბოჭოიძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი მეტრეველმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთების მიერ გახარჯული ელექტროენერჯის დავალიანების გადახდის დროებითი წესის შესახებ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N04. 08.01.2016 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი